

„ფერმერთა სკოლა სართიჭალაში“

ფონდმა „ლაზარემ“, საქართველოს საპატრიარქოს და შვეიცარიული ორგანიზაცია HEKS/EPER-ის მხარდაჭერით, 2019 წელს დაიწყო პროექტის, - „ფერმერთა სკოლა სართიჭალაში“ მესამე ფაზა.

აღნიშნული პროექტი, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებთან თანამშრომლობით, სოფლის მეურნეობის მიმართულებით ფერმერთა თეორიული და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას, თანამედროვე მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარებას გულისხმობს.

პროექტი დატვირთულია მრავალფეროვანი და სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს მაქსიმალურად მორგებული საგანმანათლებლო პროგრამებით. ხორციელდება ორი გრძელვადიანი სასწავლო კურსი მეფუტკრეობასა და მებოსტნეობაში. გარდა ამისა, მიმდინარეობს მოკლევადიანი ტრენინგ - კურსებიც, რომლებიც წინასწარი კვლევის საფუძველზე გამოკვეთილ ყველაზე მოთხოვნად თემებს ეთმობა. სწავლებას უძღვებიან მაღალკვალიფიციური, მოწვეული სპეციალისტები.

მოქნილი და საჭიროებებზე დამყარებული სასწავლო კურსები ხელს უწყობს ფერმერებს და სოფლად მცხოვრებ მოსახელობას თეორიული და პრაქტიკული უნარ - ჩვევების გაღრმავებაში, რაც თავის მხრივ დაეხმარება მათ, როგორც თავიანთი თავის, ისე მათ მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდასა და რეალიზაციაში.

აქტივობები სრულად მოიცავს კახეთის რეგიონს - ახმეტა, საგარეჯო, თელავი, გურჯაანი, ყვარელი, ლაგოდეხი, სიღნაღი, დედოფლისწყარო - და აერთიანებს სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ პირებს.

აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობა მიმდინარეობს, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ მსხვილ ფერმერებთან, მედიასთან, რათა მოხდეს სოფლის მეურნეობაში ჩართულ პირთა მობილიზება და ერთობლივი მუშაობით ბენეფიციარების დასაქმების ზრდა.